პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

EU4 INDEPENDENT MEDIA



განხორციელების ვადა: 03.01.2022 - 02.01.2025

EaP ქვეყნები:

ევროკავშირის წვლილი: € 7 999 610

მთლიანი ბიუჯეტი: € 7 999 610

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

DT-Global leader of the consortium, WAN IFRA, The European Journalism Centre

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

პროექტის ვებსაიტები:

პროექტის აღწერა:

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში შემორჩენილი თავისუფალი მედიასაშუალებები არაერთი პრობლემის წინაშე დგანან, რაც მოიცავს კონკურენციის არასამართლიან პრაქტიკას, შემოსავლის მიზერულ წყაროებს, პოლიტიკურ ჩარევებსა და პროფესიული უნარების ზოგად სიმწირეს. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დემოკრატიზაციის ხელშეწყობისა და მოქალაქეთა გაძლიერებისათვის, პროექტი მიზნად ისახავს აამაღლოს სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის დამოუკიდებელ მედიასაშუალებების ჟურნალისტური საქმიანობის ხარისხი. EU4IM („ევროკავშირი დამოუკიდებელი მედიისთვის“) ეხმარება ფაქტებზე დაფუძნებულ, გენდერულად ინკლუზიურ და სანდო, საზოგადოების ინტერესებზე ორიენტირებულ ჟურნალისტიკას, შეასრულოს მეთვალყურის („უოჩდოგის“) როლი. პროექტი ხელს შეუწყობს მედიის მედეგობის ზრდას მისი ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესების საშუალებით. ჩვენი მიდგომა ასეთია: თუ დამოუკიდებელი მედიის ჟურნალისტები მაღალხარისხიანი, საინტერესო კონტენტის შექმნას შეძლებენ, უფრო კონკურენტუნარიანებიც გახდებიან მედიაბაზარზე, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სანდო ინფორმაციის უფრო ფართო გავრცელებას და, შედეგად, საზოგადოების მედეგობისა და მთავრობის ანგარიშვალდებულების ზრდას. პროგრამა მოიცავს როგორც ონლაინ, ისე პირისპირ ტრენინგებს, სამუშაო ადგილზე სწავლისა და ინდივიდუალური მენტორობის აქტივობებს, რომლებიც მიზნად ისახავს სარედაქციო კონტენტის (შინაარსის) გაუმჯობესებას, მენეჯმენტისა თუ მარკეტინგის უნარების დახვეწას, შემოსავლის ახალი წყაროების დაგეგმვა-მოძიებას, აუდიტორიის უკეთ შესწავლასა და შესაბამის ტექნოლოგიებში ინვესტიციის მხარდაჭერას. ამას გარდა, პროექტის ფარგლებში შემოთავაზებულია კონტენტის შექმნა, გადაუდებელ სიტუაციებში მხარდაჭერა; ასევე, პროფესიული ინტერაქცია და კავშირების გაღრმავება, მედიის

მოსალოდნელი შედეგები:

შედეგი 1: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ფაქტებზე დაფუძნებული, მაღალხარისხიანი მედიაკონტენტის - მათ შორის, საგამოძიებო ჟურნალისტიკის მიმართულებით - გაზრდილი მოცულობა.
შედეგი 2: სამიზნე მედიასაშუალებებში უფრო მაღალი პროფესიონალიზმით წარმართული სარედაქციო პროცესი, რაც გულისხმობს ფაქტების გადამოწმების პოლიტიკას და ჟურნალისტების მიერ მომზადებულ რეპორტაჟებს (ახალი ამბების სიუჟეტებს).
შედეგი 3: გაუმჯობესებული გენდერული თანასწორობა მედიასექტორში და გენდერულად მგრძნობიარე რეპორტაჟები.
შედეგი 4: კომერციული მედიის მიმართულებით გადამზადებული რედაქციის პერსონალი და მენეჯმენტი; ასევე, შემოსავლის უფრო დივერსიფიცირებული წყაროები.
შედეგი 5: დამოუკიდებელი ჟურნალისტებისა და მედიაპროფესიონალების გაძლიერებული ქსელი, რომელიც აქტიურად გამოიყენება, როგორც პროფესიონალური რესურსი და პროფესიული ურთიერთკავშირებისა და კონტაქტების („ნეთვორქინგის“) პლატფორმა.